

## განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენზე დადგენილი ერთდროული ფულადი პრემიის ოდენობის შემცირება. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, 4000 ლარი (შრომის ანაზღაურების 200 მინიმალური ოდენობა) ერთდროული ფულადი პრემიის სახით განსაზღვრულია დავით აღმაშენებლის ორდენისა და თამარ მეფის ორდენისათვის. ამდენად, მიზანშეწონილია, ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენისათვის განსაზღვრულ იქნეს განსხვავებული პრემიის ოდენობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ისეთ სახელმწიფო ჯილდოსთან მიმართებით, როგორცაა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი ერთდროული ფულადი პრემიის ოდენობის 4 000 ლარიდან 1 000 ლარამდე შემცირება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 პუნქტის გ<sup>2</sup> ქვეპუნქტში, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო ჯილდოზე - „ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენზე“ ერთდროული ფულადი პრემიის ოდენობა განისაზღვრება 1 000 ლარით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას არ მოახდენს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღების შემდეგ იმ პირობით, რომლებსაც მიენიჭებათ ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი გადაეცემათ ერთდროული ფულადი პრემია 1000 ლარის ოდენობით.

ბ.ვ) კანონპროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ახალი ვალდებულებები და იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო  
ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს  
კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების)  
ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პრეზიდენტი.